



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №46

2014 წლის 25 ივლისი

ქ. დუშეთი

ხანძრით და სტიქიური მოვლენების შედეგად, დუშეთის მუნიციპალიტეტში უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დასახმარებლად, ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილების, მე-16 მუხლის მესამე ნაწილის და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 იანვრის №1 დადგენილებით დამტკიცებული „დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“-ს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გათვალისწინებული თანხებიდან, სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებზე გაიცეს 16008,27 ლარი.

- ა) ივანე ყავლაძეზე (ქ. დუშეთი, მილახვრიაანთ დასახლება) - 11820,8 ლარი.
- ბ) თებრო წიკლაურზე (დ. ჟინვალი, მე-19 კორპუსი) - 1414,56 ლარი.
- გ) ამირან ბურჯუკურზე (ქვეშეთის თემი სოფ. გვიდაქე) - 2772,91 ლარი.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველ მუხლში მითითებული თანხების კანონმდებლობის შესაბამისად გაცემა.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ლაფანაშვილი